სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

9 მიხეილ ასათიანის ქუჩა
0177 თბილისი, საქართველო
032 239 53 06 ; 1505
infosesa@moh.gov.ge

23 აპრილი 2026

SESA 7 26 00521441

მოქალაქე ბარბარე ფერიაშვილს

პ/ნ 01013016178

ელ. ფოსტა: foi+request-3984-58d2a571@askgov.ge

ქალბატონო ბარბარე,

თქვენი 2026 წლის 6 აპრილის განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციას საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიკატის მიღების საჭირო პროცედურების შესახებ, გაცნობებთ შემდეგს:

2023 წლის 1 სექტემბრიდან ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია საქართველოს მოქალაქეების ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელების საზღვარგარეთ დასაქმებასთან ან დასაქმებაში დახმარებასთან, ვალდებულია მოიპოვოს საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიკატი, რომელიც გაიცემა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ.

საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის სერტიფიკატის მაძიებელი კომპანიისთვის სერტიფიცირების პროცედურების განხორციელება (მათ შორის, დოკუმენტების განხილვა და შეფასება, ხარვეზის აღმოფხვრის პროცედურების წარმოება, მონიტორინგის განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში – თანამშრომლებთან გასაუბრება, სერტიფიცირების საკითხის ორგანიზება და ა. შ.), ასევე საშუამავლო კომპანიის მიერ ხელახალი სერტიფიცირება არის უფასო.

საშუამავლო კომპანიის სერტიფიცირების მიზნით, კომპანია ვალდებულია, ელექტრონული პროგრამის საშუალებით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 აგვისტოს №292 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების წესის მე-3 და მე-5 მუხლებით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან/ინფორმაციასთან ერთად სააგენტოს წარუდგინოს საშუამავლო კომპანიის ვალდებულების შესრულების გარანტიის დოკუმენტი, რომლითაც დაიფარება საშუამავლო კომპანიის ან მისი თანამშრომლის მხრიდან ბენეფიციარისთვის (დასაქმების მაძიებელი ფიზიკური პირისათვის) მიყენებული მატერიალური (ფინანსური) ზიანი. ვალდებულების შესრულების გარანტიის გამცემი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად რეგისტრირებული საბანკო ან სადაზღვევო ორგანიზაცია. ზიანის ასანაზღაურებლად განსაზღვრული აგრეგირებული ლიმიტი უნდა განისაზღვროს არანაკლებ 50,000 ლარით, ხოლო გარანტიის მოქმედების ვადა – სერტიფიკატის მოქმედების ვადის შესაბამისი პერიოდით.

საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის

სერტიფიცირების წესი დადგენილია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 აგვისტოს №292 დადგენილებით, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე -https://matsne.gov.ge/ka/document/view/5890644?publication=2.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამმართველოს უფროსი
თამარ გუნია